ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 206

1 ივნისი
"---"-------- 2021 წ.

ქ. თბილისი

ქ. თბილისში, გლდანის მასივი, ვასაძის ქუჩაზე არსებული 44 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.11.12.018.107) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „კა-ემ-სისთვის" (ს/ნ. 405423590) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და 122[1] მუხლის მე-6 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქალაქ თბილისში, გლდანის მასივში, ვასაძის ქუჩაზე არსებული 44 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.11.12.018.107) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „კა-ემ-სისთვის" (ს/ნ. 405423590) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის 29 აპრილის №21.597.655 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქ. თბილისში, გლდანის მასივი, ვასაძის ქუჩაზე 44 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.11.12.018.107) პირდაპირი განკარგვის წესით, შპს „კა-ემ-სისთვის" (ს/ნ. 405423590) პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემაზე.

2. შეთანხმდეს მიწის ნაკვეთის საიჯარო ქირის წლიური საფასური - 7 920 (შვიდი ათას ცხრაას ოცი) ლარის ოდენობით.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე